

## დემოკრატიის გამოწვევები ჰიბრიდული ომის ეპოქაში: რუსეთის რბილი ძალს და დეზინფორმაციული სტრატეგიები საფრანგეთში

### აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს რუსეთის ჰიბრიდული ზემოქმედების სტრატეგიებს საფრანგეთის რესპუბლიკაში, სადაც კრემლი დემოკრატიული სტაბილურობის დასუსტების მიზნით იყენებს რბილი ძალის, დეზინფორმაციისა და ციფრული მანიპულაციის მრავალმხრივ მექანიზმებს. ანალიზი ეფუძნება პოლიტიკურ, მედია და ტექნოლოგიურ ასპექტებს და ავლენს, თუ როგორ ხდება პრორუსულ პარტიებთან („ეროვნული ერთობა“) თანამშრომლობა, RT-ის და Sputnik-ის გავლენა, ალტერნატიული მედიაპლატფორმების გამოყენება, „მედია კლონების“ ქსელის შექმნა და ხელოვნური ინტელექტით გენერირებული დეზინფორმაციის გავრცელება.

აღნიშნული სტრატეგიები ხელს უწყობს პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას, საზოგადოებრივი ნდობის შესუსტებას და ევროკავშირის ერთიანობის რღვევას. საფრანგეთის ინსტიტუციური პასუხი, სანქციები, ციფრული მონიტორინგი და მედიის რეგულაცია, მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ჯერ კიდევ არასაკმარისია.

დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერება ჰიბრიდული ომის პირობებში მოითხოვს მრავალსაფეხურიან, ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, საგანმანათლებლო და საერთაშორისო კოორდინირებულ ზომებს. მხოლოდ ასეთმა სტრატეგიებმა შეიძლება შეამციროს პრორუსული ზემოქმედების გავლენა, პოლიტიკური პოლარიზაცია და გაძლი-

---

\* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ერდეს საფრანგეთისა და ევროკავშირის დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობა.

**საკვანძო სიტყვები:** საფრანგეთი, ხელოვნური ინტელექტი და დეზინფორმაცია, რბილი ძალა, ჰიბრიდული ომი, რუსეთი.

### შესავალი

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან ერთად, რომელიც 2022 წლის თებერვალში დაიწყო, ჰიბრიდული ომი გადაიზარდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ საინფორმაციო და პოლიტიკურ ბრძოლაშიც (Atlantic Council, 2025). საფრანგეთი, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო, კრემლის რბილი ძალისა და დეზინფორმაციული ოპერაციების მნიშვნელოვანი სამიზნეა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ საზოგადოებაში რუსეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ტრადიციულად მაღალია, მოსკოვი სხვადასხვა პოლიტიკურ, მედიასა და ციფრულ არხებს იყენებს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისა და დემოკრატიული სტაბილურობის შერყევის მიზნით. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მემარჯვენე პოპულისტური პარტიების, ალტერნატიული მედიაპლატფორმების, „მედია კლონების“ და ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული დეზინფორმაციის გამოყენებაში.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს რუსეთის რბილი ძალისა და დეზინფორმაციული სტრატეგიების მექანიზმები საფრანგეთში, განსაზღვროს მათი გავლენა ქვეყნის დემოკრატიულ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ განწყობებზე, შეაფასოს საფრანგეთის ინსტიტუციური პასუხი არსებულ გამოწვევებზე და პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

როგორ იყენებს რუსეთი რბილი ძალის, დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ზემოქმედების მექანიზმებს საფრანგეთის რესპუბლიკაში და რა მიზნებს ისახავს აღნიშნული სტრატეგია? რა გავლენას ახდენს იგი საფრანგეთის დემოკრატიულ სტაბილურობაზე,

საზოგადოებრივ ნდობასა და პოლიტიკურ პოლარიზაციაზე? როგორ რეაგირებს საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოება ჰიბრიდული ომის გამოწვევებზე და რამდენად ეფექტურია იგი?

**„აქტიური ზომებიდან“ თანამედროვე საინფორმაციო ომამდე**

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელმაც ბოლო წლებში საფრანგეთი მოსკოვის რბილი ძალის გავლენის ერთ-ერთ ცენტრალურ სამიზნედ აქცია. უპირველეს ყოვლისა, **საფრანგეთის დიპლომატიური წონა** და მისი გავლენა ევროპულ პოლიტიკაზე ქმნის მოსკოვისათვის სტრატეგიულ ინტერესს, რადგან ქვეყნის მხარდაჭერა ან წინააღმდეგობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკაზე და უსაფრთხოების არქიტექტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთს უარყოფითად აღიქვამს, მოსკოვი ბოლო წლებში ერთგვარად ახერხებს იპოვოს საყრდენი ფრანგულ პოლიტიკურ ელიტაში. საკუთარი აგრესიული ქმედებების გამართლების, დაცვისა და დასავლეთზე ზეწოლის საპასუხოდ, კრემლი აქტიურად ატარებს ინტენსიური რბილი ძალის კამპანიას, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ. შესაბამისად კრემლის კომუნიკაციური სტრატეგია არამარტო **რუსულ საზოგადოებაში დასავლეთის „აგრესიული“ იმიჯის ფორმირებას** ისახავს მიზნად, არამედ ითვალისწინებს **საერთაშორისო საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენასაც, რაც ვლინდება მიზნობრივი დეზინფორმაციის გავრცელების გზით სხვადასხვა ქვეყნებში**. აღნიშნულ კონტექსტში, **საფრანგეთი მისი განსაკუთრებული სამიზნეა**, რომელსაც რუსეთი სტრატეგიულ როლს ანიჭებს მიმდინარე **ინფორმაციულ ომში**.

მოსკოვის მიერ საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესების მიზნით გაწეული მასშტაბური ძალისხმევის მიუხედავად, საფრანგეთში რუსეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში. ვაშინგტონში დაფუძნებული კვლევით ორგანიზაციის Pew Research Center-ის 2015 წლის კვლე-

ვის მიხედვით, საფრანგეთში ჩატარებულ გამოკითხულ რესპონდენტთა 70%-მა გამოავლინა უარყოფით დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში, რაც ერთი პროცენტით მეტია გერმანიის ფედერაციასთან და ათი პროცენტით ნაკლებია პოლონეთთან შედარებით, სადაც რუსეთისადმი კრიტიკა განსაკუთრებით ძლიერია (Pew Research Center, 2015). Pew Research Center-ის 2025 წლის ივნისის გამოკითხვის მიხედვით, საფრანგეთში რუსეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კვლავ მაღალი რჩება (79%), ამავე კვლევაში აღინიშნა, რომ საფრანგეთი ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც რუსეთს ყველაზე უარყოფითად აღიქვამენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის იმიჯის გაუმჯობესების სირთულეებს საფრანგეთის რესპუბლიკაში (Fagan, Gubbala, & Poushter, 2025).

დემოკრატიული მმართველობის სისტემა რუსეთის ავტორიტარული რეჟიმისათვის აღიქმება როგორც სტრატეგიული გამოწვევა და საფრთხე, რადგან იგი ეწინააღმდეგება კრემლის ძალაუფლების ლეგიტიმაციისა და ავტორიტარული მოდელის გავრცელების ინტერესებს. XX საუკუნის შუა პერიოდიდან დღემდე, დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება **გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური** ფორმით მიმდინარეობს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურდა რუსეთის პოლიტიკური ჩარევისა და საინფორმაციო მანიპულაციის პრაქტიკა დასავლეთის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სისტემების შესუსტებისკენ მიმართული მსგავსი მცდელობები გაცილებით ადრე იღებს სათავეს.

ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურები აქტიურად იყენებდნენ „აქტიურ ღონისძიებებს“, რომლებიც მიზანმიმართულად იყო გამოყენებული სოციალური პოლარიზაციის გაღრმავების, საზოგადოებრივი ნდობის შერყევის და ხელოვნური გაუგებრობების შექმნის მიზნით, რაც საბჭოთა კავშირს სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების საშუალებას აძლევდა (U.S. Department of State, 1987). ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშ-

ვნელოვნად გაზარდა აღნიშნული ოპერაციების მასშტაბი და ეფექტიანობა, რის შედეგადაც მოსკოვს შესაძლებლობა მიეცა, გაცილებით სწრაფად და ინტენსიურად მოეხდინა გავლენა დასავლურ აუდიტორიებზე. რუსეთის „აქტიური ღონისძიებები“ მიმართულია დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტური სისუსტეების გამწვავებისა და მოქალაქეთა კრიტიკული განწყობების წახალისებისკენ როგორც დემოკრატიული ლიდერების, ასევე თავად დემოკრატიული სისტემის მიმართ, რაც ხელს უწყობს აღნიშნული საზოგადოებების შიგნიდან ეროზიასა და დასუსტებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად რუსეთი მრავალმხრივ მექანიზმებს იყენებს, მათ შორის სამხედრო ძალას, თუმცა გაცილებით ეფექტურ და მისაღებ სტრატეგიად მიიჩნევა დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ძალადობისა და სოციალური კონფლიქტების პროვოცირება, რაც საშუალებას აძლევს კრემლს, თავი აარიდოს პირდაპირ პასუხისმგებლობას და მიაყენოს სერიოზული ზიანი, რომელიც მასშტაბითა და შედეგებით ხშირად აღემატება სამხედრო მოქმედებათა გავლენას.

რუსული საინფორმაციო ომის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აქტიური და მიზანმიმართული მედია პოლიტიკა, რომელიც თანამედროვე უახლეს მედია პლატფორმებს იყენებს გაცილებით მაცდურ და დახვეწილ მექანიზმად, ვიდრე ცივი ომის პერიოდში. ონლაინმედია კრიტიკული ელემენტია მოსკოვის კომუნიკაციური სტრატეგიისათვის, რადგან იგი უზრუნველყოფს რუსული ნარატივების სწრაფ და ეფექტურ გავრცელებას ფართო საზოგადოებაში.

### **საფრანგეთის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული საფუძვლები**

საფრანგეთი წარმოადგენს ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკას, რომლის პოლიტიკური სისტემა რეგულირდება 1958 წელს მიღებული მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციით. აღნიშნული კონსტიტუცია ეფუძნება ადამიანის უფლებათა პრინციპებსა და

1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართო სპექტრის თავისუფლებისა და უფლებების დაცვას. კონსტიტუციის მთავარი მუხლი ადგენს, რომ საფრანგეთი არის ერთიანი, სეკულარული, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, მიუხედავად წარმოშობის, რასის თუ რელიგიური შეხედულებებისა და პატივს სცემს ყველა რწმენას (Constitution de la Ve République, art. 1 (1958). სახელმწიფო მოწყობილია დეცენტრალიზებული მმართველობის პრინციპზე, რაც ზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიას. გარდა ამისა, კონსტიტუცია უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცების თანაბარ შესაძლებლობებს როგორც არჩევითი თანამდებობების დაკავებაში, ასევე პროფესიულ და სოციალურ სფეროებში. მიუხედავად კონსტიტუციითა და დეკლარაციით განსაზღვრული დემოკრატიული პრინციპებისა, საფრანგეთის პოლიტიკურ სპექტრში ბოლო წლებში შეინიშნება წარმომადგენლობის ზრდა ორივე უკიდურეს ფლანგზე. ეს ტენდენცია მკაფიოდ ასახავს ფრანგული საზოგადოების სიღრმეში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ დინამიკებს. მემარჯვენე ულტრანაციონალისტური პოლიტიკური ძალები მსგავსად მრავალი სხვა ქვეყნისა, კონცენტრირებული არიან იმიგრაციისა და შიდა უსაფრთხოების საკითხებზე, რასაც წინ უძღვის ისლამური ექსტრემიზმის საფუძველზე ათწლეულების განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული აქტები.

საფრანგეთის კონსტიტუციის პირველი მუხლი მკაფიოდ უზრუნველყოფს სეკულარიზმის პრინციპს, ხოლო საფრანგეთის პარლამენტმა 2021 წლის 24 აგვისტოს მიიღო „კანონი რესპუბლიკის პრინციპების პატივისცემის განმტკიცების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენდა რესპუბლიკანიზმის ძირითადი პრინციპების: თავისუფლების, თანასწორობის, ძმობისა და ადამიანის ღირსების დაცვა და განმტკიცება, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, როდესაც საფრანგეთში აღინიშნება კომუნისტარიზმისა და რადიკა-

ლური ისლამური მოძრაობების გაძლიერება, რაც საფრთხეს უქმნის რესპუბლიკის ერთიანობას და ერთიანი მოქალაქეობის პრინციპს (Loi n° 2021-1109, 2021). ფრანგული კანონმდებლობა ხაზს უსვამს რესპუბლიკის ძირითად პრინციპებს, რომლის პრაქტიკული აღსრულება ზოგჯერ გამოწვევებს ქმნის საზოგადოებრივი ერთიანობის კუთხით, რაც ფრთხილი პოლიტიკისა და თანმიმდევრული სამართლებრივი მიდგომების საჭიროებას განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პოლიტიკური ისტორია მოიცავს პერიოდებს, როდესაც პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი ფიგურები ექცეოდნენ კრიტიკისა და სამართლებრივი ზეწოლის ქვეშ, ან მარგინალიზებულნი ხდებოდნენ სიძულვილის ენის გამოყენების გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი იწვევდა სოციალურ დაყოფასა და კონფლიქტს ფრანგულ საზოგადოებაში.

### **„ეროვნული ერთობა“ (RN) როგორც რუსეთის ჰიბრიდული გავლენის პლატფორმა საფრანგეთში**

ბოლო წლებში რუსეთი აქტიურად იყენებს არაერთ ინსტრუმენტს საფრანგეთის უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკურ ფლანგზე ზემოქმედებისთვის, მათ შორისა: ეკონომიკური ზეწოლა, კიბერშეტევები და დეზინფორმაციული კამპანიები, რათა წარმატებით განახორციელოს საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნები. სახელმწიფო უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედია ხშირად ხდებიან რუსული მანიპულაციების სამიზნე, განსაკუთრებით კი ქვეყნის პოლიტიკური კრიზისის დროს (Fisher, 2018).

1972 წელს ჟან-მარი ლე პენის მიერ დაარსებული „ეროვნული ფრონტი“ (2018 წლიდან „ეროვნული ერთობა“) წარმოადგენს საფრანგეთის ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ გაერთიანებას და მოიაზრება როგორც მოსკოვის ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირედ ევროპაში. პარტიის თავმჯდომარის პოსტზე პარტიის დამაარსებლის, ჟან მარი-ლე პენის ჩანაცვლების შემდეგ, მიუხედავად შიდა პარტიული დაპირისპირებე-

ბისა და სამართლებრივი დავებისა, პარტიის ახალმა ლიდერმა - მარინ ლე პენმა მნიშვნელოვნად გააფართოვა პოლიტიკური გავლენა, მოიპოვა საპარლამენტო მანდატები, თუმცა კვლავაც შეინარჩუნა ისლამოფობიური და ანტისემიტური პოზიციები. პოლიტიკური დღის წესრიგის გასაძლიერებლად „ეროვნული ერთობა“ აქტიურად იყენებს მიგრაციის, სამართალდამცავი სისტემისა და ანტიტერორიზმის თემატიკას, განსაკუთრებული აქცენტით ისლამსა და მუსლიმურ თემებზე. პარტიის პრორუსული პოზიცია ასახავს მოსკოვის ჰიბრიდული გავლენის შესაძლებლობას ევროპულ პოლიტიკურ გარემოში. აღნიშნული პოზიციონირება ზრდის პარტიის პოპულარობას გარკვეულ საზოგადოებრივ ფენებში, თუმცა ერთდროულად იწვევს ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას და დემოკრატიული სტაბილურობის დასუსტებას. აღნიშნული გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ფართო საზოგადოებისათვის 2014 წელს, როდესაც მარინ ლე პენის პარტიამ „ეროვნულმა ერთობამ“ (RN) მიიღო 11 მილიარდი ევროს სესხი ჩეხური ბანკის „First Czech Russian Bank“-ისგან (Gros-Verheyde, 2017). ბანკი კრემლთან იყო დაკავშირებული, ხოლო სესხის საჭიროება განპირობებული იყო პარტიის ფინანსური რესურსების დეფიციტით, რადგან ფრანგულმა ბანკებმა უარი განაცხადეს სესხის გაცემაზე პარტიის წარსული რასისტული და ანტისემიტური განცხადებების გამო.

2017 წელს მარინ ლე პენმა საჯაროდ მხარი დაუჭირა ვლადიმირ პუტინის პოლიტიკას ყირიმის ანექსიის ლეგიტიმაციის კონტექსტში. მან ასევე არაერთხელ საჯაროდ გააკრიტიკა ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები, რომელიც არაეფექტურ და ეკონომიკურად საზიანო პოლიტიკად შერაცხა, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ევროკავშირის აგრარული და სამრეწველო სექტორებისთვის (Marine Le Pen, citée dans *L'Express*, 2017). ლე პენის აღნიშნულმა პოზიციამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური პოლარიზაციის გაძლი-

ერებას, რის შედეგადაც იგი 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ როგორც პოლიტიკური ოპონენტების, ისე საერთაშორისო მედიის მწვავე კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა. კრიტიკისას ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ლე პენის პოზიციის შესაბამისობაზე კრემლის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგთან, რაც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა.

2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ და რუსეთის მიმართ ღიად გამოხატული მხარდაჭერის კონტექსტში, საფრანგეთის ულტრამემარჯვენე პარტიამ აქტიურად დაიწყო მრავალმხრივი საარჩევნო სტრატეგიების გამოყენება, რომელიც მოიცავდა როგორც ტრადიციულ პოლიტიკურ კამპანიებს, ისე კიბერშეტევებსა და დეზინფორმაციულ კამპანიებს სოციალურ ქსელებში, რომელთაგან ყველაზე ცნობილია 2017 წლის არჩევნების დროს მრავალმხრივი დეზინფორმაციული ოპერაცია #MacronLeaks, რაც მიზნად ისახავდა საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის გუნდის დისკრედიტაციას (*France24*, 2017). ციფრულმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ გავრცელებული დოკუმენტების ნაწილი იყო ავთენტური, ნაწილი კი სპეციალურად დამუშავებული დეზინფორმაცია, რათა მოსახლეობაში დაბნეულობა და არეულობა გამოეწვიათ.

ევროკავშირის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება წარმოადგენს „ეროვნული ერთობის“ (RN) იდეოლოგიური პლატფორმის ცენტრალურ სტრუქტურულ ელემენტს. პარტია სისტემატურად უპირისპირდება ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობის ცენტრალიზებულ მოდელს, მიიჩნევს რა მას საფრანგეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფის მთავარ წყაროდ. მარინ ლე პენის პოლიტიკურ რიტორიკაში ხშირად იკვეთება “ზრიუსელის ბიუროკრატის” კონცეპტი, რომელიც წარმოაჩენს ევროკავშირს, როგორც არაპირდაპირ, თუმცა გავლენიან მმართველობას, რომელიც საფრანგეთის შიდა პოლიტიკასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მავნე ზეგავლენას ახდენს (*Euronews*, 2022). განსაკუთრებით

მწვევა პარტიის კრიტიკა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის, მათ შორის რუსეთის წინააღმდეგ შემოდებული სანქციების მიმართ. აღნიშნულ სანქციებს ლე პენი განიხილავს, როგორც ეკონომიკურად მავნე და უშედეგო მექანიზმს, რომელიც არ ცვლის კრემლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მნიშვნელოვნად აზიანებს ფრანგულ საწარმოებსა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. მარინ ლე პენის თქმით, სანქციების შედეგად ფრანგულმა მეღვინეობამ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი რუსული ბაზარი, რაც ათასობით სამუშაო ადგილის შემცირებით დასრულდა. ამგვარი პოზიცია, რომელიც ემთხვევა კრემლის საგარეო სტრატეგიულ ინტერესებს, მიზნად ისახავს ევროკავშირის ერთიანობის რღვევას და სანქციური პოლიტიკის შიდა დაპირისპირებების გაღრმავებას. თუმცა, „ეროვნული ერთობის“ (RN) ევროსკეპტიკური ნარატივები არ შემოიფარგლება მხოლოდ კრიტიკით. პარტია პერიოდულად წინ წევს საფრანგეთის ევროკავშირის წევრობის პირობების გადახედვის საკითხს და განიხილავს ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული გამოსვლის შესაძლებლობას („Frexit“), რაც განსაკუთრებით გამწვავდა ბრექსიტის შემდეგ. პარტია აღნიშნულ რიტორიკას იყენებს ეროვნული იდენტობის დაცვისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაცვის არგუმენტაციად (Le Monde, 2024).

ამრიგად, პოლიტიკური ორგანიზაცია “ეროვნული ერთობა” (RN) წარმოადგენს თვალსაჩინო შემთხვევას, რომელიც მკაფიოს ხდის, თუ როგორ გამოიყენა რუსეთმა აღნიშნული პოლიტიკური პარტია ჰიბრიდული ზემოქმედების საშუალებად. პარტიის პრორუსული პოზიციები, ღია მხარდაჭერა კრემლის საგარეო პოლიტიკისადმი და ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებზე კრიტიკული დამოკიდებულება არა მხოლოდ ზრდის მარინ ლე პენის პოპულარობას გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებში, არამედ ხელს უწყობს საფრანგეთის შიდა პოლიტიკური პოლარიზაციის გამწვავებას და დემოკრატიული სტაბილურობის შესუსტებას.

რუსეთის მიერ გამოყენებული მრავალმხრივი სტრატეგიები: ფინანსური მხარდაჭერა, კიბერშეტევები, დეზინფორმაციული კამპანიები და სოციალური ქსელების მობილიზება, ხაზს უსვამს ჰიბრიდული ზემოქმედების ეფექტურობას თანამედროვე ევროპულ პოლიტიკურ გარემოში. პარტიის ევროსკეპტიკური ნარატივები, ბრიუსელის ბიუროკრატის კრიტიკა და ევროკავშირიდან გასვლის იდეის პერიოდული წამოწევა, მკაფიოდ ავლენს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკურ ძალთა როლის ზრდას საფრანგეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკური სივრცეში<sup>1</sup>.

### **„რუსული გავლენა ფრანგულ მედიაზე**

რუსეთის ჩარევა ფრანგულ მედიაში წარმოადგენს ფართო კვლევის საგანს, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ-აკადემიურ, ისე პრაქტიკულ, პოლიტიკურ და მედია-ანალიტიკურ ასპექტებს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი თავისუფალი მედიის მქონე ქვეყანაა, რუსეთის მიერ განხორციელებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კამპანიები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას და პოლიტიკური სტაბილურობის რყევას. რუსეთის მიერ ორგანიზებული დეზინფორმაციის კამპანიები საფრანგეთში მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ციფრულ, ისე ტრადიციულ მედიას. Freedom House-ის მიხედვით, საფრანგეთს გააჩნია თავისუფალი და ღია მედია გარემო, რომელიც ასახავს „პოლიტიკური აზრის ფართო სპექტრს“ (Freedom House, 2023). მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საფრანგეთში მცირდება ბეჭდური მედიის გამოყენება, ხოლო იზრდება ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტის მნიშვნელობა.

უმსხვილესი ეროვნული ტელე-რადიო კომპანიები, France TV და Radio France, სახელმწიფოს საკუთრებაშია. სახელმწიფო აკონტ-

---

<sup>1</sup> „France“ + „exit“ აღნიშნავს საფრანგეთის ევროპული კავშირის დატოვების შესაძლო სცენარს. ეს იდეა ძირითადად ევროსკეპტიკური პარტიების რიტორიკაში, მათ შორის მარინ ლე პენის RN-ში გაჩნდა.

როლებს ბაზარს, ხოლო აუდიო-ვიზუალური სამმხრივი საბჭო აკონტროლებს რადიოსა და ტელეარხების სიხშირეებს. საფრანგეთში მრავალი გაზეთი დამოკიდებულია მთავრობის სუბსიდიებსა და კერძო სექტორის მხარდაჭერაზე, ვინაიდან რეკლამისა და გაყიდვების შემოსავალი ხშირად ვერ ფარავს ოპერაციულ ხარჯებს. შედეგად, ბეჭდური მედიის მაღალი საოპერაციო ხარჯები ხელს უწყობს მკითხველთა გადინებას ციფრულ პლატფორმებზე და აძლიერებს ალტერნატიული მედიის განვითარების შესაძლებლობებს (Frey, 2020). როდესაც ალტერნატიული მედია ვერ აღწევს სახელმწიფოსა და პოლიტიკური ელიტის მიერ კონტროლირებულ ძირითად საინფორმაციო საშუალებებს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კარგავს ნდობას ტრადიციული მედიისა და სხვა ინსტიტუტების მიმართ. რუსეთმა დასავლეთში ინსტიტუციებისადმი ნდობის შესუსტება გამოიყენა საკუთარი ალტერნატიული მედია პლატფორმების, მათ შორის RT და Sputnik-ის გაძლიერებისთვის. ეს პლატფორმები ფუნქციონირებენ როგორც საერთაშორისო მულტიმედიური სერვისები და აერთიანებენ ყოფილი “რია ნოვოსტის” და “რუსეთის ხმის” მედიასერვისებს. აღნიშნული პლატფორმები საშუალებას აძლევს რუსეთს გავლენა მოახდინოს ფრანგულ საზოგადოებაზე, რასაც ტრადიციული მედიის გამოყენებით ნაკლებად შეძლებდა. ამ ალტერნატიული მედიის კონტენტმა თანამედროვე საფრანგეთში შექმნა ფაქტების აღქმისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ განსხვავებული ხედვა. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, აღნიშნული მედია ხშირად გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეფერხების მიზნით, ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ იგი „ახალ სუნთქვას ანიჭებს გადავსებულ, თუმცა ჰომოგენურ მედია გარემოს“ (Institut français des relations internationales, n.d.).

რუსული სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მედიასაშუალებები, როგორცაა RT და Sputnik, ფლობენ შესაძლებლობას მიაწოდონ ინფორმაცია ფრანგულ საზოგადოებას, თუმცა მათი საქმიანობა ჩვეულებრივ არ მიიჩნევა საფრანგეთის პოლიტიკურ პრო-

ცესებზე პირდაპირი გავლენის მოხდენის მექანიზმად, რომლის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს, გაზეთი “ფიგარო” (Le Figaro), რომელიც წლების განმავლობაში აქვეყნებდა ყოველთვიურ დანართს რუსული სიახლეების შესახებ რუსეთის *Rossiyskaya Gazeta*-სთან თანამშრომლობით. საფრანგეთში ფუნქციონირებს ალტერნატიული მედია, რომელიც ნაწილობრივ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პლატფორმების გავლენით ვითარდება, ხოლო ნაწილობრივ ადგილობრივმა ფრანგულმა აქტორებმა შექმნეს. აღნიშნული მედია მიზნად ისახავს პრო-რუსული ნარატივების გავრცელებას იმ აუდიტორიაზე, რომელიც ნაკლებად ენდობა ტრადიციულ საინფორმაციო საშუალებებს (Zhuravskaya, 2018). “RT” (Russia Today) ფრანგულენოვანი აუდიტორიისთვის სპეციალური პლატფორმა პირველად 2015 წელს შექმნა, ხოლო 2017 წლის 18 დეკემბერს კი პარიზში გახსნა საკუთარი ტელეარხი “RT France”, რომელიც ფრანგულენოვან მაყურებელს 24/7 რეჟიმში სთავაზობდა ახალი ამბებისა და სხვადასხვა პროგრამების მაუწყებლობას. არხის გახსნისთვის გამოყოფილი იქნა დაახლოებით 20 მილიონი ევრო, ხოლო დასაქმებული იყო 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ადგილობრივი ჟურნალისტები (Radio Free Europe/Radio Liberty, 2017).

რაც შეეხება Sputnik-ის ფრანგულ ვერსიას, მან **2015 წლის 29 იანვარს დაიწყო ფუნქციონირება, რომელიც** რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და საინფორმაციო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა დასავლურ აუდიტორიაზე გავლენის მოხდენას ალტერნატიული მედია პლატფორმების საშუალებით. Sputnik-ის ფრანგულენოვანი ვებ-გვერდი სწრაფად გახდა პოპულარული კონსპირაციულ და ექსტრემისტულ ჯგუფებში, რაც მკაფიოდ ასახავს მის როლს რუსეთის საინფორმაციო ომში. Sputnik-ის ამოქმედება დაემთხვა RT France-ის ონლაინ პლატფორმის გაშვებას 2015 წელს, თუმცა RT France-ის ტელეარხმა მხოლოდ 2017 წლის დეკემბერში დაიწყო მაუწყებლობა. ორივე არხი ფინანსდებოდა რუსეთის სახელმწიფოს მიერ და ძირითადად ემსახურებოდა

კრემლის საინფორმაციო პოლიტიკის ინტერესებს, რაც აძლიერებდა სპეციფიკურ ნარატივებს საფრანგეთის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებას.

2022 წლის 2 მარტს, რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის საპასუხოდ, ევროკავშირმა დააწესა სანქციები რუსულ სახელმწიფო მფლობელ მედია-საშუალებებზე, მათ შორის RT-სა და Sputnik-ზე, რის შედეგადაც შეჩერდა მათი მაუწყებლობა ევროკავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის საფრანგეთში. მიუხედავად ოფიციალური შეზღუდვებისა, RT-ის კონტენტი კვლავ ხელმისაწვდომია საფრანგეთში სხვადასხვა ალტერნატიული არხებით. მათ შორის: რუსული სატელიტური მაუწყებლობა Ekspress AM8, VPN ტექნოლოგიები, დუბლირებული (Mirror) საიტები, Telegram არხები და სხვა ალტერნატიული პლატფორმები. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, რუსული მედია კვლავ ახერხებს გავლენის შენარჩუნებას საფრანგეთის საზოგადოებრივ სივრცეში.

2023 წლის იანვარში, RT France-ის ანგარიშების გაყინვის შედეგად, არხმა შეწყვიტა საქმიანობა საფრანგეთში და დაიწყო მაუწყებლობა მოსკოვიდან (Subota, 2025). როგორც ცნობილია, საფრანგეთის მედია-რეგულატორი “Arcom” ამჟამად განიხილავს Eutelsat-ის მიერ რუსული არხების მაუწყებლობის შესაძლო დარღვევას ევროკავშირის სანქციების წინააღმდეგ (Kacher, 2025). მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს აქვს თავისუფალ მედია გარემო, რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ალტერნატიული მედია-საშუალებები, კვლავ აგრძელებენ გავლენის განხორციელებას საზოგადოებრივ აზრზე. ისინი საფრანგეთში ქმნიან პრორუსულ ნარატივებს, ხელს უწყობენ ტრადიციული მედიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შესუსტებას და აძლიერებენ ჰიბრიდული ომის კონტექსტში არსებული საინფორმაციო გამოწვევების სირთულეებს.

**რუსული ციფრული დეზინფორმაცია საფრანგეთში: მედია  
კლონები, AI-ს გამოყენება და საზოგადოებრივი აზრის  
მანიპულირება**

საფრანგეთი ბოლო წლებში რუსული ციფრული გავლენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნედ იქცა. 2022 წლიდან გამოვლენილი კიბერ-პროპაგანდისტული ოპერაციები მიზნად ისახავდნენ საზოგადოებრივი დისკუსიების შესუსტებას, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირებას და სოციალური დამაბულობის გაღრმავებას. ყველაზე სტრუქტურირებულ და სისტემურ დეზინფორმაციულ/პროპაგანდისტულ ქსელს წარმოადგენდა RRN (Recent Reliable News), იგივე Doppelgänger. ქსელი ეფუძნებოდა საფრანგეთის წამყვან მედიასაშუალებებს (Le Parisien და 20 Minutes) და იყენებდა მათი ვიზუალური და სტრუქტურული თვისებების კლონირების სტრატეგიას (Ministère des Armées, 2025). ორგანიზებული ქსელი აწარმოებდა და ავრცელებდა ყალბ სტატიებს, ვიზუალურად ადაპტირებულს სანდო მედიასაშუალებების დიზაინზე, რომლებიც შეიცავდნენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის ტენდენციებს ან პრორუსულ ნარატივებს. აღნიშნული კონტენტი მასობრივად ვრცელდება სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის Telegram, VKontakte და X (ყოფილი Twitter), რაც მნიშვნელოვნად ზრდის დეზინფორმაციის გავრცელების ეფექტურობას საზოგადოების ფართო მასებზე (Ministère des Armées, 2025). განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „მატრიოშკას“ ოპერაცია, რომელსაც მიიჩნევენ რუსეთის დეზინფორმაციული კამპანიების ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ მაგალითად. მისი მთავარი მიზანი იყო საფრანგეთში მიმდინარე სოციალური მოძრაობების ხელოვნური იმიტაცია, რაც საზოგადოების მანიპულირებისა და სოციალური დამაბულობის გაღრმავების მიზნით ხორციელდებოდა. აღნიშნული ოპერაცია მოიცავდა სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის ყალბი ბროშურების გავრცელებას, არარსებული დემონსტრაციების ინსცენირებას და პოლიციის მხრიდან ძალადობის ეპიზოდების წარმოჩენას, რაც საზოგადოებაში უნ-

დობლობის გაღრმავებასა და ინსტიტუტებისადმი ნდობის შერყევას ემსახურებოდა. საჯარო სივრცეებში განთავსებული QR კოდები დაკავშირებული იყო ფალსიფიცირებულ ვიდეოებთან და დეზინფორმაციულ ვებ-გვერდებთან, რაც ხელს უწყობდა ნეგატიური და მანიპულაციური ნარატივების გავრცელებას. ოპერაციები, მაგალითად როგორც იყო TigerWeb სისტემა, მიმართული იყო კონსპიროლოგიური ონლაინ პლატფორმებში კოორდინირებული ჩარევებისკენ, რათა გაძლიერებულიყო უკრაინისა და ნატოს წინააღმდეგ მიმართული ნარატივები. მათი სტრატეგია ემყარებოდა სუვერენიტეტთან, უსაფრთხოებასთან და ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული შიშების მანიპულირებას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობდა ფრანგულ საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავებასა და სოციალური ერთიანობის შესუსტებას.

მიუხედავად რუსეთის მიერ განხორციელებული მრავალმხრივი სტრატეგიული ქმედებებისა, საფრანგეთი იყო და კვლავ რჩება ერთ-ერთ ლიდერ სახელმწიფოდ ევროპაში დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკულმა დამოუკიდებელმა ორგანიზაცია NewsGuard-მა, რომელიც სპეციალიზირებულია ონლაინ მედიის პლატფორმების შეფასებაში და ინფორმაციის სანდოობის მონიტორინგში დაადგინა, რომ რუსეთმა საფრანგეთში განხორციელა ოპერაცია, რომლის ფარგლებში გამოყენებული იქნა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემები, მათ შორის ChatGPT და ფრანგული Le Chat (Mistral-ის მიერ შექმნილი). აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან გენერაციული AI-ს გამოყენებით ყალბი ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება, რაც ასახავს საფრანგეთში რუსული პროპაგანდისტული ოპერაციის Storm-1516 მთავარ მიზანს (Huet, Sadeghi, & Labbe, 2025).

NewsGuard-ის კვლევის მიხედვით, ოპერაცია Storm-1516 საფრანგეთში 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის მარტამდე ხუთი ძირითადი ყალბი ნარატივით ვრცელდებოდა. ოპერაციის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტად ითვლება ჯონ მარკ დუგანი, ფლორიდის ყო-

ფილი სამართალდამცველი, რომელმაც მოსკოვში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი და ამჟამად მონაწილეობს კრემლის პროპაგანდისტულ კამპანიებში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ყალბი ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების მიზნით. აღნიშნული კამპანია სოციალურ ქსელებში გამოჩნდა 38,877 პოსტის სახით, რომლებმაც ჯამში 55.8 მილიონზე მეტ ნახვას აგროვებდნენ. კამპანია ვრცელდებოდა ათზე მეტ პლატფორმაზე, მათ შორის X, Facebook, Reddit, Instagram, Rumble და Bitchute, რაც წინა პერიოდთან შედარებით მისი მასშტაბის თვალსაჩინო ზრდაზე მიუთითებს (VIGINUM, 2025). Storm-1516 ოპერაციის ფარგლებში იდენტიფიცირებული დეზინფორმაციული ნარატივები, მიმართული იყო საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის დისკრედიტაციისკენ. რუსული დეზინფორმაციული კამპანიები საფრანგეთში მიმართული იყო პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის დისკრედიტაციისკენ. მათ შორის გამოყენებულ იქნა შეთითხნილი ბრალდებები კონკრეტულ პირებზე, მათ შორის პოლიტიკოსებზე, ბავშვებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ; კარიზის AIDS აქტივისტის მიერ გავრცელებული მტკიცება, რომელიც ეხებოდა მისი გარდაცვლილი ძმის სავარაუდო ურთიერთობას პრეზიდენტ მაკრონთან; უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებები ფინანსურ დანაშაულებასა და კორუფციასთან დაკავშირებით, რომლებიც გაჩნდა მისი სხვადასხვა ქვეყნის ვიზიტების შემდეგ და შეეხებოდა უცხოეთში უძრავი ქონების შესაძლო შეძენას; ასევე მცდარი ინფორმაცია საფრანგეთის სიმბოლური მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის, ისლამისტური ჯგუფების მიერ შესაძლო საფრთხის ქვეშ დაყენების შესახებ. აღნიშნული კამპანიები მიზნად ისახავდნენ საზოგადოებაში უნდობლობის გაღრმავებას, ინსტიტუტებისადმი ნდობის შერყევას და სოციალური პოლარიზაციის გაღრმავებას.

როგორც საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა ფრანსუა ბაირუმ განაცხადა 2025 წლის 28 მარტს, VIGINUM-ის (იმყოფება საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს დაქვემდებარებაში) მიერ ორგანიზებულ ფორუმზე, რუსეთის მიზანმიმართული დეზინფორმაციული თავდასხმები მიუთითებს, რომ “უკრაინის შემთხვევის შემდეგ, საფრანგეთი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რისკის მქონე სამიზნე ქვეყანად იქცა”. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ “მსგავსი ოპერაციები საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკური სტაბილურობას, ეწინააღმდეგებიან დემოკრატიულ პროცესებსა და საინფორმაციო სივრცის სანდოობას” (Siècle Digital, 2025). ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება და სოციალური მედიის პლატფორმების შემცირებული შინაარსობრივი კონტროლი ხელს უწყობს დეზინფორმაციის სწრაფ გავრცელებას და ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების მიერ მათ გამეორებას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საზოგადოებას სიმართლისა და სიცრუის გარჩევის თვალსაზრისით.

დეზინფორმაციული ნარატივები, მრავალენოვანი და მრავალპლატფორმიანი კამპანიაა, რომელიც ათობით ათას პოსტში ვრცელდება, მათ შორის პოპულარულ სოციალურ ქსელებსა და ვებ-პლატფორმებზე. კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთში გავრცელებული AI ჩატბოტების დაახლოებით მესამედი ამ ყალბ ინფორმაციას ავრცელებს და "ნარატივების გადამუშავების" მეთოდით ხელოვნურად ამაღლებს მათ სანდოობას, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ინფორმაციული გარემოსათვის.

საფრანგეთის ხელისუფლებამ 2024 წლის თებერვალში გამოავლინა რუსული დეზინფორმაციული, კარგად სტრუქტურირებული და კოორდინირებული ქსელი სახელწოდებით „Portal Kombat“, რომელიც მოიცავდა 193 ყალბ საინფორმაციო ვებ-საიტს. აღნიშნული ვებ-საიტები ავრცელებდნენ პრორუსულ შინარსს, რომელიც მიმართული იყო დასავლური (აშშ და ევროპა) აუდიტორიისათვის, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც მხარს უჭერენ უკრა-

ინას. ქსელი შექმნილი იყო ყირიმში და ავრცელებდა პრორუსულ სიახლეებს ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და გერმანულ ენებზე. აღნიშნული სისტემა წარმოადგენდა *ლატენტურ რეჟიმში არსებულ ქსელს*, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში სწრაფად შეეძლო ინფორმაციული სივრცის დატვირთვა, განსაკუთრებით არჩევნების დროს (Financial Times, 2025). პროპაგანდისტული ქსელის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ევროპული, განსაკუთრებით კი ფრანგული საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია პრორუსული დეზინფორმაციის გავრცელებით, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ოკუპაციის ლეგიტიმაციის განმტკიცებას უკრაინაში და მისი ხელისუფლების დისკრედიტაციას. ფრანგული უცხოური ციფრული ჩარევის მონიტორინგის სამსახურის VIGINUM-ის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები ადასტურებს აღნიშნული ქსელის მანიპულაციურ აქტივობებს (Ministry for Europe and Foreign Affairs, 2024).

თავდაპირველად ქსელი ძირითადად ფოკუსირებული იყო რეგიონალურ/ადგილობრივ კონტენტზე, თუმცა, 2024 წლის 12 თებერვლის VIGINUM-ის ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს რუსეთის შეჭრის შემდეგ, ქსელის სამიზნე მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცვა როგორც ოკუპირებული ტერიტორიები, ასევე უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნები, მათ შორის საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი. პროპაგანდისტული კამპანია მოიცავდა სამ განსხვავებულ ქსელს, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს Pravda-ს სახელით მოქმედ საიტებს, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის კოდის ტოპ-დომენებს (fr, de, pl, es, com). აღნიშნული საიტების **ტექნიკური მახასიათებლები იდენტურია** და ისინი ერთ საერთო IP მისამართზე, რუსეთში განთავსებულ სერვერზე ფუნქციონირებენ. როგორც გამოძიებამ გამოავლინა, კრემლი იყენებს სხვადასხვა მანიპულაციურ ტექნიკებს, მიზნობრივ აუდიტორიაზე გავლენის მოსახდენად, რაც ითვალისწინებს პრორუსული ნარატივების შერჩევას კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისთვის, ინფორმაციის მასობრივ ავ-

ტომატურ გავრცელებას და ძიების სისტემების (SEO) ოპტიმიზაციას. აღნიშნული მეთოდები საშუალებას აძლევს პროპაგანდას სწრაფად და ფართოდ გავრცელდეს ციფრულ პლატფორმებზე.

### დასკვნა

საფრანგეთი რუსეთის ჰიბრიდული ზემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური სამიზნეა ევროპაში, სადაც კრემლი სისტემურად იყენებს რბილი ძალის, დეზინფორმაციისა და კიბერმანიპულაციის სტრატეგიებს. აღნიშნული ზემოქმედება მიზნად ისახავს არა მხოლოდ რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების წინ წამოწევას, არამედ საფრანგეთის დემოკრატიული სტაბილურობის შეზღუდვას, პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავებას და ევროკავშირის ერთიანობის დასუსტებას.

კვლევამ დაადასტურა, რომ მოსკოვის მიერ გამოყენებული მრავალმხრივი მექანიზმები პოლიტიკურ პარტიებთან („ეროვნული ერთობა“) თანამშრომლობა, ალტერნატიული და სახელმწიფო კონტროლირებადი მედიაპლატფორმების (RT, Sputnik) გამოყენება, „მედია კლონები“ და ხელოვნური ინტელექტით გენერირებული დეზინფორმაცია, ქმნის ინტეგრირებულ ზემოქმედების ქსელს, რომელიც ერთდროულად მოქმედებს საფრანგეთის პოლიტიკურ ელიტაზე, საზოგადოებრივ განწყობებზე და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე.

საფრანგეთის ინსტიტუციური პასუხი, დეზინფორმაციის მონიტორინგი, სანქციების დაწესება და ციფრული სივრცის რეგულაცია მნიშვნელოვან შედეგს იძლევა, თუმცა არსებული რეაგირება ჯერ კიდევ არასაკმარისია იმისთვის, რომ შეამციროს ჰიბრიდული ზემოქმედების გრძელვადიანი ეფექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რჩება მედიაწიგნიერების გაძლიერება, პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობა და საერთაშორისო კოორდინაცია ევროკავშირის დონეზე.

ამრიგად, დასმულ კვლევით კითხვებზე პასუხი ცხადყოფს, რომ რუსეთის ჰიბრიდული სტრატეგია საფრანგეთში მოქმედებს როგორც სტრუქტურული და მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც საჭიროებს კომპლექსური და მდგრადი წინააღმდეგობის მქონე მექანიზმების არსებობას. დემოკრატიული სტაბილურობისა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნება მოითხოვს არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობას, არამედ სამოქალაქო საზოგადოების, მედიის ორგანიზაციების და საერთაშორისო პარტნიორების აქტიურ, თანმიმდევრულ თანამშრომლობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

- Abboud, L., Foy, H., & Erizanu, P. (2024, March 21). *Europe battles 'avalanche of disinformation' from Russia*. *Financial Times*. <https://www.ft.com/content/2ffe8b64-f9bc-46d4-bf40-eefbbc6fac77>
- **Atlantic Council.** (2025, June 5). *Russian hybrid warfare: Ukraine's success offers lessons for Europe*. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/russian-hybrid-warfare-europe-should-study-ukraines-unique-experience/>
- **Constitution de la Ve République.** (1958). *Journal Officiel de la République Française*. <https://www.legifrance.gouv.fr/constitution>
- Fagan, M., Gubbala, S., & Poushter, J. (2025, June 23). *NATO viewed favorably across 13 member nations: Putin receives negative ratings internationally, while Zelenskyy gets mixed reviews*. Pew Research Center. [https://www.pewresearch.org/wp-content/uploads/sites/20/2025/06/pg\\_2025.06.23\\_global-views-russia-nato\\_reportc.pdf](https://www.pewresearch.org/wp-content/uploads/sites/20/2025/06/pg_2025.06.23_global-views-russia-nato_reportc.pdf)
- **France.** (2021). *Loi n° 2021-1109 du 24 août 2021 confortant le respect des principes de la République*. *Journal Officiel de la République Française*. <https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT000043910535/>
- **France24.** (2017, May 8). *As French media went dark, bots and far-right activists drove #MacronLeaks*. France24.

<https://www.france24.com/en/20170508-french-media-blackout-bots-far-right-activists-wikileaks-pushed-macronleaks>

- Fisher, M. (2018, April 23). *Russia's new front in the information war*. *The Washington Post*. <https://www.washingtonpost.com/>
- Frey, C. (2020). *Media trust and the rise of alternative information sources in Europe*. *European Journal of Communication*, 35(2), 123–140. <https://doi.org/10.1177/0267323120908160>
- Freedom House. (2023). *Freedom of the press 2023: France*. <https://freedomhouse.org/report/freedom-press/2023/france>
- Gros-Verheyde, N. (2017, May 3). *Le FN et le financement russe: enquête sur le prêt du First Czech Russian Bank*. Bruxelles2. <https://www.bruxelles2.eu/>
- Huet, N., Sadeghi, M., & Labbe, C. (2025, April 17). *Russian propaganda campaign targets France with AI-fabricated scandals*. NewsGuard. <https://www.newsguardtech.com/special-reports/russian-propaganda-campaign-targets-france-with-ai-fabricated-scandals/>
- IDMO. (2025, April 17). *A Russian propaganda operation targets France with AI-generated fake scandals, drawing 55 million views on social media*. Insights. <https://www.idmo.it/en/2025/04/17/a-russian-propaganda-operation-targets-france-with-ai-generated-fake-scandals-drawing-55-million-views-on-social-media/>
- Institut français des relations internationales. (n.d.). *RT brings its Russian perspective to France*. IFRI. [https://www.ifri.org/en/rt-brings-its-russian-perspective-france?utm\\_source=chatgpt.com](https://www.ifri.org/en/rt-brings-its-russian-perspective-france?utm_source=chatgpt.com)
- Kacher, A. (2025, March 17). *French TV regulator to rule on Eutelsat's potential sanctions breach 'very shortly'*. Reuters. <https://www.reuters.com/business/media-telecom/french-tv-regulator-rule-eutelsats-potential-sanctions-breach-very-shortly-2025-03-17/>
- Le Monde. (2024, June 5). *Européennes 2024 : les revirements de programme du Rassemblement national en dix ans*. Le Monde. [https://www.lemonde.fr/les-decodeurs/article/2024/06/05/europeennes-2024-les-revirements-de-programme-du-rassemblement-national-en-dix-ans\\_6237444\\_4355770.html](https://www.lemonde.fr/les-decodeurs/article/2024/06/05/europeennes-2024-les-revirements-de-programme-du-rassemblement-national-en-dix-ans_6237444_4355770.html)

- **L'Express.** (2017, January 3). *Pour Marine Le Pen, l'annexion russe de la Crimée n'est pas illégale.* [https://www.lexpress.fr/politique/rn/pour-marine-le-pen-l-annexion-russe-de-la-crimee-n-est-pas-illegale\\_1865383.html](https://www.lexpress.fr/politique/rn/pour-marine-le-pen-l-annexion-russe-de-la-crimee-n-est-pas-illegale_1865383.html)
- **Le Pen, M. (n.d.).** *What exactly is Marine Le Pen's stance on Russia and Vladimir Putin?* Euronews.
- **Ministry for Europe and Foreign Affairs.** (2024, February 12). *Foreign digital interference – France detects a Russian propaganda network.* <https://www.diplomatie.gouv.fr/en/country-files/russia/news/article/foreign-digital-interference-france-detects-a-russian-propaganda-network-12-feb>
- **Ministère des Armées.** (2025, June 28). *Trois ans d'offensive informationnelle russe : anatomie d'un front invisible.* <https://www.defense.gouv.fr/actualites/trois-ans-doffensive-informationnelle-russe-anatomie-dun-front-invisible>
- **OECD.** (2021). *Media coverage and regulation in France.* Paris: OECD Publishing.
- **Pew Research Center.** (2015, August 5). *Russia, Putin held in low regard around the world.* Pew Research Center's Global Attitudes Project. <https://www.pewresearch.org/global/2015/08/05/russia-putin-held-in-low-regard-around-the-world/>
- **Radio Free Europe/Radio Liberty.** (2017, December 18). *Russia Today launches new French-language channel in Paris despite propaganda charges.* <https://www.rferl.org/a/russia-today-rt-launches-new-french-language-channel-paris-despite-propaganda-charges-macron/28926043.html>
- **Siècle Digital.** (2025, March 31). « *Nous sommes déjà en guerre : la France est le pays le plus attaqué après l'Ukraine sur Internet* ». Siècle Digital. <https://siecledigital.fr/2025/03/31/nous-sommes-deja-en-guerre-la-france-est-le-pays-le-plus-attaque-apres-lukraine-sur-internet/>
- **Subota, I.** (2025, February 26). *An untamed hydra: How RT France's content remains in the EU information space despite sanctions.* Detector Media. <https://en.detector.media/post/an-untamed-hydra-how-rt-frances-content-remains-in-the-eu-information-space-despite-sanctions>

- U.S. Department of State. (1987). *Soviet active measures in the era of glasnost*. Washington, DC: United States Department of State.
- VIGINUM. (2025, May). *Rapport technique Storm-1516*. Secrétariat général de la défense et de la sécurité nationale. [https://www.sgdsn.gouv.fr/files/files/Publications/20250507\\_TLP-CLEAR\\_NP\\_SGDSN\\_VIGINUM\\_Technical%20report\\_Storm-1516.pdf](https://www.sgdsn.gouv.fr/files/files/Publications/20250507_TLP-CLEAR_NP_SGDSN_VIGINUM_Technical%20report_Storm-1516.pdf)
- Zhuravskaya, E. (2018). *Russian media influence in European politics*. *Russian Journal of Economics*, 4(1), 34–52. <https://doi.org/10.1016/j.ruje.2018.03.002>

Eka Darbaidze

### “Challenges to Democracy in the Era of Hybrid Warfare: Russian Soft Power and Disinformation Strategies in France”

#### abstract

The paper examines Russia’s hybrid influence strategies in the French Republic, where the Kremlin uses a multifaceted mechanism of soft power, disinformation, and digital manipulation to undermine democratic stability. The analysis is based on political, media, and technological aspects and reveals how cooperation with pro-Russian parties (“National Unity”), the influence of RT and Sputnik, the use of alternative media platforms, the creation of a network of “media clones,” and the spread of disinformation generated by artificial intelligence are taking place.

The study concludes that these strategies contribute to deepening political polarization, weakening public trust, and the breakdown of European Union unity. France’s institutional response, sanctions, digital monitoring and media regulation, despite significant progress, are still insufficient. In conclusion, the paper highlights the need for integrated political-legal, educational and internationally coordinated measures to strengthen democratic resilience in the era of hybrid warfare.

**Keywords:** France, artificial intelligence and disinformation, soft power,